

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი  
თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანადართული რედაქციით


(ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსავლები</b>	<b>37,401,465</b>	<b>32,998,300</b>	<b>35,006,000</b>	<b>35,006,000</b>	-
გადასახადები	15,063,746	13,727,300	16,909,100	16,909,100	-
გრანტები	17,534,150	16,850,000	2,088,900	2,088,900	-
სხვაშემოსავლები	4,803,570	2,421,000	16,008,000	16,008,000	-
<b>ხარჯები</b>	<b>16,787,660</b>	<b>20,158,344</b>	<b>18,398,592</b>	<b>18,398,592</b>	-
შრომის ანაზღაურება	7,814,476	2,167,279	2,233,800	2,233,800	-
საქონელი და მომსახურება	4,791,836	1,866,297	2,019,142	2,019,142	-
პროცენტი	396,024	245,788	178,095	178,095	-
სუბსიდიები	1,012,698	10,529,830	11,416,635	11,416,635	-
გრანტები	799,599	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	614,474	740,821	738,500	738,500	-
სხვა ხარჯები	1,358,554	4,608,329	1,812,420	1,812,420	-
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>20,613,805</b>	<b>12,839,956</b>	<b>16,607,408</b>	<b>16,607,408</b>	-
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>15,987,356</b>	<b>14,428,215</b>	<b>14,670,350</b>	<b>14,670,350</b>	-
ზრდა	16,132,415	14,428,215	14,670,350	14,670,350	-
კლება	145,059	-	-	-	-
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-1,612,002</b>	<b>-1,588,259</b>	<b>1,937,058</b>	<b>1,937,058</b>	-
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-3,119,225</b>	<b>-3,546,900</b>	<b>-110,000</b>	<b>-110,000</b>	-
ზრდა	-	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები	-	-	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-	-	-
კლება	3,119,225	3,546,900	110,000	110,000	-
ვალუტა, დეპოზიტები	3,119,225	3,546,900	110,000	110,000	-
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-1,507,224</b>	<b>-1,958,641</b>	<b>-2,047,058</b>	<b>-2,047,058</b>	-
ზრდა	-	-	-	-	-
კლება	1,507,224	1,958,641	2,047,058	2,047,058	-
<b>ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>

მუნიციპალიტეტის მერის მ/შ


 ლ. ზოიძე

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

 გ. ჯინჭარაძე

შემსრულებელი

საბიუჯეტო განყოფილების უფროსი

 ი. ჯინჭარაძე

**მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსებიდან გამოყოფილი ტრანშფერები
<b>შემოსულობები</b>	<b>37,546,524</b>	<b>32,998,300</b>	<b>35,006,000</b>	<b>35,006,000</b>	-
შემოსავლები	37,401,465	32,998,300	35,006,000	35,006,000	-
არაფინანსური აქტივების კლება	145,059	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთისგამოკლებით)	-	-	-	-	-
<b>გადასახდებები</b>	<b>34,427,299</b>	<b>36,545,200</b>	<b>35,116,000</b>	<b>35,116,000</b>	-
ხარჯები	16,787,660	20,158,344	18,398,592	18,398,592	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,132,415	14,428,215	14,670,350	14,670,350	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	1,507,224	1,958,641	2,047,058	2,047,058	-
<b>ნაშთისცვლილება</b>	<b>3,119,225</b>	<b>- 3,546,900</b>	<b>- 110,000</b>	<b>- 110,000</b>	-

**თავი II**

**მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 35 006 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
<b>შემოსავლები</b>	<b>37,401,465</b>	<b>32,998,300</b>	<b>35,006,000</b>
გადასახდები	15,063,746	13,727,300	16,909,100
გრანტები	17,534,150	16,850,000	16,008,000
სხვა შემოსავლები	4,803,570	2,421,000	2,088,900

**მუხლი 4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 16 909 100 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
<b>გადასახადები</b>	<b>15,063,746</b>	<b>13,727,300</b>	<b>16,909,100</b>
საშემოსავლო გადასახადი			
დამატებული ღირებულების გადასახადი	9,755,057	9,927,300	12,409,100
ქონების გადასახადი	5,308,689	3,800,000	4,500,000

### მუხლი 5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16 008 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	17,534,150	16,850,000	16,008,000
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	17,534,150	16,850,000	16,008,000
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი			
<b>სპეციალური ტრანსფერი</b>	2,608,785	3,200,000	1,500,000
მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	171,600		
მ.შ აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	618,120	3,200,000	1,500,000
მ.შ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსაზოციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1,819,065		
<b>კაპიტალური ტრანსფერი</b>	14,925,365	13,650,000	14,508,000
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	14,925,365	13,650,000	14,508,000

### მუხლი 6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 088 900 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	4,803,570	2,421,000	2,088,900
შემოსავლები საკუთრებიდან	780,590	400,860	377,660
<b>პროცენტები</b>	219,859	162,416	62,700
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	219,859	162,416	62,700
<b>რენტა</b>	560,731	238,444	314,960
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	176,891	120,000	120,000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან	383,841	118,444	194,960
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	738,535	735,840	455,140
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	613,344	660,700	370,000
სანებართვო მოსაკრებელი	223,511	426,700	120,000

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ანბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	223,511	426,700	120,000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	664		
სათამაშობი ზნესის მოსაკრებელი	86,000	84,000	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	303,170	150,000	250,000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	125,191	75,140	85,140
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	125,191	75,140	85,140
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,717,029	1,100,000	1,100,000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,567,416	184,300	156,100

თავი III

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18 398 592 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>ხარჯები</b>	<b>16,787,661</b>	<b>20,158,344</b>	<b>18,398,592</b>	<b>18,398,592</b>	-
შრომის ანაზღაურება	7,814,476	2,167,279	2,233,800	2,233,800	-
საქონელი და მომსახურება	4,791,836	1,866,297	2,019,142	2,019,142	-
პროცენტი	396,024	245,788	178,095	178,095	-
სუბსიდიები	1,012,698	10,529,830	11,416,635	11,416,635	-
სოციალური უზრუნველყოფა	799,599	-	-	-	-
სხვა ხარჯი	614,474	740,821	738,500	738,500	-

მუხლი 8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14 670 350 ლარის ოდენობით მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 14 670 350 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანზფერები
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	31,325	78,891	83,500	83,500	-
მუნიციპალიტეტის საკრებულო	8,466	1,200	1,500	1,500	-
მუნიციპალიტეტის შერია	17,484	77,691	78,300	78,300	-
სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	-	-	3,700	3,700	-
დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	5,375	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	14,370,926	10,590,653	10,030,809	10,030,809	-
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,476,951	4,928,921	2,191,895	2,191,895	-
ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	6,889,447	4,164,194	1,941,895	1,941,895	-
ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა	449,039	-	-	-	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა	34,485	53,600	50,000	50,000	-
გარე განათების ღონისძიებები	103,980	711,127	200,000	200,000	-
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,957,746	2,060,778	4,268,914	4,268,914	-
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	-	390,000	1,388,758	1,388,758	-
წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,010,086	1,139,985	13,950	13,950	-
სანიღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა	422,880	110,793	2,866,206	2,866,206	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული არხმშენი და 1 ერთეული ნაგავმზიდი) შეძენა	524,780	-	-	-	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უნევერსალური ექსკავატორი) შეძენა	-	420,000	-	-	-
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები	4,798,949	3,566,634	3,570,000	3,570,000	-
სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	3,995,341	3,154,217	2,690,000	2,690,000	-
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები	684,138	72,417	250,000	250,000	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა	-	-	300,000	300,000	-
საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	119,470	340,000	300,000	300,000	-
პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	-	-	30,000	30,000	-
მაღალბიანი დასახლების განვითარების პროგრამა	137,280	34,320	-	-	-
დასუფთავება და გარემოს დაცვა	258,325	172,660	22,200	22,200	-
მუნიციპალიტეტის საწარმოო დასუფთავების ღონისძიებები	217,000	170,000	-	-	-
გამწვანების ღონისძიებები	41,325	2,660	22,200	22,200	-
განათლება	78,367	2,511,394	4,522,991	4,522,991	-
ა(ა)მ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	5,511	2,430	1,850	1,850	-
საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	72,856	2,508,964	4,521,141	4,521,141	-

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	589,226	1,073,737	10,650	10,650	-
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	537,446	1,048,984	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	1,750	-	-	-	-
სპორტული მოედნების მოწყობა	535,696	1,048,984	-	-	-
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	51,780	24,753	10,650	10,650	-
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	-	24,753	2,500	2,500	-
ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	2,700	-	1,300	1,300	-
ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	20,922	-	-	-	-
გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "შეედრული"	-	-	5,650	5,650	-
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	23,668	-	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	4,490	-	1,200	1,200	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,055	880	200	200	-
ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	1,055	880	200	200	-
ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1,055	880	200	200	-
ჯამი	15,329,224	14,428,215	14,670,350	14,670,350	-

ბ) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	145,059	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	488	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	144,571	-	-	-	-
მიწა	144,571	-	-	-	-

**მუხლი 9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 33068942 ფუნქციონალურ ჭრილში, თანადაართული რედაქციით.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,672,563	3,981,736	3,400,107
7011	ადმსარულზელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,474,815	3,322,948	3,222,012
70111	ადმსარულზელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,452,520	3,047,948	3,122,012
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	22,295	275,000	100,000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1,197,748	658,788	178,095

702	თავდაცვა	119,389	123,800	129,320
7021	შეიარაღებული ძალები	119,389	123,800	129,320
704	ეკონომიკური საქმიანობა	7,929,276	6,266,034	3,596,395
7045	ტრანსპორტი	7,929,276	6,266,034	3,596,395
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,929,276	6,266,034	3,596,395
705	გარემოს დაცვა	2,897,741	2,675,557	5,503,341
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2,474,861	2,564,764	2,637,135
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	422,880	110,793	2,866,206
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	9,874,435	11,039,093	8,117,288
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	5,219,570	6,015,791	4,943,758
7063	წყალმომარაგება	2,301,929	2,592,993	1,379,000
7064	გარე განათება	907,966	1,511,127	1,050,000
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,444,970	919,182	744,530
707	ჯანმრთელობის დაცვა	448,236	703,600	732,200
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	448,236	703,600	732,200
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,057,661	2,338,938	1,561,680
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	989,349	1,416,268	411,400
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,068,312	922,670	1,150,280
709	განათლება	4,209,559	6,987,971	9,560,781
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,444,101	3,745,955	4,283,170
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	765,458	3,242,016	5,277,611
710	სოციალური დაცვა	711,216	469,830	467,830
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	170,888	200,000	220,000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	540,328	269,830	247,830
	მთლიანი ხარჯები	32,920,076	34,586,559	33,068,942

**თავი IV**  
**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება**

მუხლი 10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	20,613,805	12,839,956	16,607,408
მთლიანი სალდო	-1,612,002	-1,588,259	1,937,058

მუხლი 11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 110000 ლარის ოდენობით;
- განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	-	-

- განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების კლება 3 549 400 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების კლება	3,119,225	3,546,900	110 000
ვალუტა და დეპოზიტები	3,119,225	3,546,900	110 000

მუხლი 12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

- განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 2 047 058 ლარის ოდენობით.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-15 072 24	-1 958 641	-2 047 058
ზრდა			
საშინაო			
კლება	1 507 224	1 958 641	2 047 058
საშინაო	1 507 224	1 958 641	2 047 058



**მუხლი 13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 100 000 ლარის ოდენობით.

**თავი V**

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ ქვეპროგრამები**

**მუხლი 14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლების ხელშეწყობა;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება  
(პროგრამული კოდი 01 00)**

**პროგრამის მიზანი:** წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.

**პროგრამის აღწერა:** აღნიშნული ხარჯები ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები. ასევე, მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების დაფარვის ხარჯებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯებს, დამოუკიდებელი აუდიტორიული დასკვნებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს.

**სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03)**

**პროგრამის მიზანი:**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.

**პროგრამის აღწერა:**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებელი (სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული სიტუაციების), გადაუდებელი გადასახდელების ეფექტური და შეუფერხებლად დაფინანსება.

**მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა  
(პროგრამული კოდი 01 04)**

**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

**პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თანადაფინანსებისა და მიღებულ სესხებზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

**პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია  
(პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, განხორციელდება ქალაქის, დაბებისა და სოფლების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

**საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები  
(პროგრამული კოდი 02 01)**

**პროგრამის მიზანი:**

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროის შემცირება.

**პროგრამის აღწერა:**

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

2.1 ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელელების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელელების მოწყობა;

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება);

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება;

გარე განათების ღონისძიებები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები.

**ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროისა და სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო ხარჯების შემცირება.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების, გადასასვლელებისა და ტროტუარების მოწყობას. კერძოდ: შიდა ქუჩების ტროტუარების, ველობილიკების, ავტობუსების გაჩერებების შეჭრების მოწყობას. სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების და ქუჩების მოასფალტების სამუშაოების განხორციელებას; დეკორატიული ფილებით მოპირკეთებას, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმას. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

დაბა ჩაქვში „ოაზისის“ მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (გარდამავალი პროექტი 2019-2020 წწ.);

ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთი“-ს მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა;

ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის I შესახვევის რეაბილიტაცია;

დაბა ჩაქვში, აბაშიძის ქუჩის ტროტუარის მოწყობა;

ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობა;

ვიდეოკამერების ექსპლოატაცია;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელელების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელელების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 03)

2.1.2

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება.  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელელების მოწყობის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორბაზოვნება,) (პროგრამული კოდი 02 01 04)

2.1.3

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
მდინარეების შესართავებთან ტერიტორიის მოწესრიგება.  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალა და სანაპიროს ტერიტორია დააზიანა. მდინარე კინტრიშის და მდინარე დეხვას შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები გატარდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა (პროგრამული კოდი 02 01 05)

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური საატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქობულეთის ტრანსრეგულირება მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას რაიონის სხვადასხვა მიმართულებით და ქალაქ ბათუმში. თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურეობა შეადგენს საშუალოდ 22400 მგზავრთა ბრუნვას ემსახურება 8 სამარშუტო ხაზს. ესენია: ჯიხანჯური-ბათუმი, აჭყვისთავი -ბათუმი, ჩოლოქის მეურნეობა-ბათუმი, ქობულეთი-ჭახათი, დაგვა-ქობულეთი, ზედა ხუცუბანი-ქობულეთი, რკინიგზის სადგური- აღმაშენებლის ქუჩა და რკინიგზის სადგური -რუსთაველის ქუჩა (ორი ავტობუსი) ყოველდღიურად საშუალოდ 740-770 მგზავრს ემსახურება და შემოსავალი შეადგენს 508 ლარს, ხოლო ხარჯი 1318 ლარს. აქედან გამომდინარე ყოველდღიური ზარალი შეადგენს 810 ლარს. ამიტომ მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური. არსებული ფინანსური გაანგარიშებით საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმართებაში უარყოფითია. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ცალკეული თვეების მიხედვით საატრანსპორტო კომპანიის მიერ წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას.

**გარე განათების ღონისძიებები**  
(პროგრამული კოდი 02 01 06)

**ქვეპროგრამის მიზანი:**

გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა.

2.1.5

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  
გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;  
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები**  
(პროგრამული კოდი 02 01 07)

2.1.6

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.  
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:  
ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების - სამუშაოები

**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**  
(პროგრამული კოდი 02 02)

2.2

**პროგრამის მიზანი:**  
ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.  
**პროგრამის აღწერა:**  
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები;  
წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია;  
სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;  
უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი;  
შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური.

**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები(პროგრამული კოდი 02 02 01)**

2.2.1

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება: სახურავების გადახურვა და ლიფტების მოწყობა.  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვის სამუშაოები, აგრეთვე სოფელ მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავის და კიბის მოწყობის სამუშაოები და ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა.  
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა;  
ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა;  
ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა.

2.2.2

**წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია**  
(პროგრამული კოდი 02 02 02)

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წლით უზრუნველყოფა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამით მოხდება ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან, ასევე განხორციელდება შპს "ქობულეთის წყალის" სუბსიდირება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

შპს "ქობულეთის წყალი";

ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი";

**სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება,

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო

მაგისტრალური ხაზის მოწყობა.

**უკანონომიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 02 04)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაწმენდაუნებართვო, უსახური, ამორტიზირებული შენობა ნაგებობებისაგან.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა - ნაგებობების (მიშენებების) სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.

**შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური (პროგრამული კოდი 02 02 05)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მაღალი რისკის ზონებში დერატიზაცია-დეზინსექციის ჩატარება.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

დაგეგმილი პროფილაქტიკური სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღრნელების მაქსიმალურ შემცირებასთან მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით: 1. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დეზინსექციათვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი; 2. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დერატიზაცია თვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი.

**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)**

**3.3 პროგრამის მიზანი:**

ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემო

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამა მოიცავს შენობა ნაგებობების მშენებლობას, რომლის ფარგლებში მოეწყობა სოფლებში ადმინისტრაციულ შენობები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  
სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები;  
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები;  
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა;  
საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;  
აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი;  
პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი.

**სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები  
(პროგრამული კოდი 02 03 01)**

3.3.1

**ქვეპროგრამის მიზანი:**  
სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
პარკებისა და სკვერების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა  
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (II ეტაპი); (გარდამავალი პროექტი 2020 – 2021 წწ.).

3.3.2

**მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი  
სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 03 02)**  
**ქვეპროგრამის მიზანი:**  
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაციას.

3.3.3

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა  
(პროგრამული კოდი 02 03 03)**  
**ქვეპროგრამის მიზანი:**  
სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
სოფლის ცენტრების რეაბილიტაცია  
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა.

3.3.4

**საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა  
(პროგრამული კოდი 02 03 04)**  
**ქვეპროგრამის მიზანი:**  
სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა  
**ქვეპროგრამის აღწერა:**  
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

3.3.5

**აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი  
(პროგრამული კოდი 02 03 05)**  
**ქვეპროგრამის მიზანი:**

	<p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b></p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.</p>
3.3.6	<p style="text-align: center;"><b>პროექტების ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი</b> (პროგრამული კოდი 02 03 06)</p> <p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b> სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b> ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა</p>
4	<p style="text-align: center;"><b>პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)</b></p>
4.1	<p style="text-align: center;"><b>მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები</b> (პროგრამული კოდი 03 01)</p> <p><b>პროგრამის მიზანი:</b></p> <p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება</p> <p><b>პროგრამის აღწერა:</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: დასუფთავების ღონისძიებები;</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება.</p>

**გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**

**პროგრამის მიზანი:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

**პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სეზონური და მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით გაფორმება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქობულეთი დაბა ჩაქვი), ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, გაცეღვითი და დაწამლვითი სამუშაოები. ორგანიზაცია მოვლა-პატრონობას ახორციელებს მრავალწლოვანი ხეების და მარად მწვანე ხე მცენარეების, კონკრეტულად: გასხვლა, შეღებვა და დაზიანებული ხეების მოჭრით და გადაბეღვით სამუშაოებს. ერთწლიანი ყვავილებით ანაშენიანებს მუნიციპალიტეტის საუთრებაში მყოფ სკვერებს, ხდება მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით. ასევე ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში ხორციელდება მრავალწლიანი ხე მეცარეების დარგვით სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება

**პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

**სკოლამდელი განათლების დაფინანსება  
(პროგრამული კოდი 04 01)**

**პროგრამის მიზანი:**

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**პროგრამის აღწერა:**



სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოთ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საამღზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულად პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქობულეთის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:  
 ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება;  
 საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება  
 (პროგრამული კოდი 04 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში განათლების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**ქვეპროგრამის აღწერა:**

5.1.1

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, საამღზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან; მეთოდური მიმართულებების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა შესყიდვას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განათლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.

**საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა  
 (პროგრამული კოდი 04 01 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ბაღების კეთილმოწყობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

5.1.2

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  
 ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებლობა;  
 ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, აჭარის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მოწყობა;  
 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლელვაში საბავშვო ბაღის მოწყობა;  
 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა;  
 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა.

**პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები  
(პროგრამული კოდი 05 00)**

6

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**პროგრამის მიზანი:**

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

**პროგრამის აღწერა:**

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება.

6.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;

სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა.

**ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა  
(პროგრამული კოდი 05 01 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

6.1.1

**ქვეპროგრამის აღწერა:**

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

6.1.2

**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა; საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ

ცხოვრებაში; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზება

**ქვეპროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:  
1) მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის და განვითარების ხელშეწყობა. 2) სპორტული ტურნირებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. 3) ქობულეთელი სპორტსმენის/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება.

**სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.

**ქვეპროგრამის აღწერა:**

რაგბის პოპულარიზაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდ-ახალგაზრდებში. რაგბის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო თუ რეგიონალურ ტურნირებში მონაწილეობა, პროფესიონალი მორაგბეების გაწვრთვა და მათი დახელოვნება.

6.1.3

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა  
(პროგრამული კოდი 05 02)**

**პროგრამის მიზანი:**

